ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 325

"18" ოქტომბერი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.020.025) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ.-ისთვის" (ს/ნ: 416342844) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.020.025) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ.-ისთვის" (ს/ნ: 416342844) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 10 სექტემბრის №19.950.1242 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, წინამძღვრიშვილის ქუჩა №39-ის მიმდებარედ არსებული 141 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.16.05.020.025) 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთი პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ.-ისთვის" (ს/ნ: 416342844) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ი.დ.-ისთვის" (ს/ნ: 416342844) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 650 (ექვსასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**